



# საქართველო

ფასი 3 მან.

პარასკევი, ივლისის 16 1920 წ.

# რეპუბლიკა

შთავრობის მოახვე, ქვეყნული გაზეთი  
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)  
**საქართველოს რესპუბლიკა**  
გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან.  
განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ზე გვ. 6 მან.  
სამკლავიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15-2) 150 მ., განცხ-  
საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლო, უწყ. განცხადებ-  
ნი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვადი ნიხრზე მეტი 20% რედა-  
ქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1-82

## ქოლოზის თემის ეროვნული გაგებობა

ამით აცხადებს დაწესებულებათა და კერძო პირთა საყოფადღებოთ, რომ სამიქიოს საზო-  
გადოებიდან, სენაკის მაზრა, შექმნილია ორი თემი,

### ქოლოზისა და სანაქარო.

ქოლოზის თემში შედიან სოფლები: ქოლოზანი, დიდი-გეზათი, პატარა გეზათი, გუგუნა-  
ყათი და ბულვანი. ქოლოზის ეროვნული მუშაობა დაიწყო 1920 წ. ივნისის 2-დან. ზემო მო-  
სხენებულ სოფლების შესახებ ყოველგვარი საქმეები უნდა გამოიგზავნოს შემდეგის მ.ხა-  
მართით: დაბა აბაშა, (სენაკის მაზრა) ქოლოზის თემის ეროვნული გამგეობას.

738 5-5

## სიღნაღის სამაზრო საერო მომსახურების განყოფილება

იწვევს: ორს ინჟინერს (გზათა აღმშენებ. და ჰიდრო-ტექ) ორს სათემო  
ინსტრუქტორს, სამს ავრონომს, ერთ სკოლების ინსტრუქტორს,

ექიმებს, ფარმაცევტებს, ორ მომრიგებელ მოამართლეს, ორს ვეტერინარ ექიმს, ბუ-  
ჰალტერს, (საერო მომსახურების მკონტრეს) და სამეურნეო ინსტრუქტორებს, თხოვნების  
და შესაფერი საბუთების წარდგენით უნდა მიმართონ ზემოხსენებულ გამგეობას, პირობები  
გამგეობასთან შეთანხმებით.

747 3-3 სიღნაღის სამაზრო საერო მომსახურების განყოფილება

## ქუთაისის სამაზრო ეროვნული გაგებობა

იწვევს მიმდინარე წლის ივლისის 19-ს ამავე ეროვნული ხმასანთა მორიგი  
(მეხუთე) ყრილობას. განსახილველი საკითხები:

- 1) მოხსენება გამგეობისა წასული წლის მოქმედების შესახებ.
  - 2) 1920 წლის სავარაუდო შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-ალრიცხვის განხილვა და  
დამტკიცება.
  - 3) მუხიანის, მუხაყურის და დიდი-ჯიხაიშის უბნების მომრიგებელ-მოსამართლეთა  
არჩევა.
  - 4) წვრილი ერთეულები.
  - 5) სესხის აღება.
  - 6) გამგეობის წევრის არჩევა.
  - 7) მიმდინარე საკითხები.
- ყოლობა გაიხსნება ზემოხსენებულ რიცხვს დილის 10 საათზე ეროვნული ბინაზე.

723 6-3 ეროვნული გამგეობა.

## მიღება სამხედრო სკოლაში განყოფილებებით:

ქვეითა ჯარისა, საარტილერიო, ცხენოსანი ჯარისა და საინჟინერო  
დანიშნულია 1920 წ. 1 ენკენისთვის.

სკოლაში მიღებულ იქნებიან ახალგაზრდანი (საქართველოს ქვეშევრდომნი) წლოვანე-  
ბით 17-25 წლ.

შენიშვნა: ცოლიანები სკოლაში არ მიიღებიან; სწავლის კურსი 2 წლ.

თხოვნი სამხედრო სკოლის უფროსის სახელზე გამოიგზავნოს ეხლავე შემდეგი დოკუ-  
მენტები:

1. მოწმობა ჯარის კაცთა გამწვევ უბანზე მიწერის შესახებ.
2. ატესტატი საშუალო სასწავლებლის კურსის დამთავრებისა; შეიძლება აგრეთვე  
ატესტატი და მოწმობა ისეთი სასწავლებლისა, რომელთაც საშუალო სასწავლებლების უფ-  
ლებები აქვთ მინიჭებული.
3. მოწმობა სამართალში არ ყოფნის შესახებ.
4. მეტრიკული მოწმობა.
5. ერთი შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი.
6. მოწმობა ქვეშევრდომობისა (ასეთი მოწმობა უნდა წარმოადგინონ არა ქართველე-  
ბმა). სკოლაში უნდა გამოცხადდნ უსათუოდ 30-მარობისთვის.

სამხედრო სკოლის უფროსის თანამდებობის დრ.  
აღმასრულებელი პოლკოვნიკი ჩხეიძე  
სკოლის ადიუტანტი კაპიტანი ხელაშვილი.

1839 1-1

## თანახვით ამიერ-კავკასიის ბანკის აქციონერთა

საზოგადო კრების დადგენილებით 1920 წ. 4 ივლისის თარიღით ამიერ-კავკასიის ბანკი აძ-  
ლევს პირველი და მეორე გამოცემის აქციებზე 1919 წლის დივიდენდს თითო აქციაზე 25  
(ოცდა ხუთ) მანეთს ამა 1920 წლის 12 ივლისიდან—ტფილისში, ბათუმში და ქუთაისში  
ამიერ-კავკასიის ბანკში; ქუთაისში, სამტრედიისში, ფოთში და სოხუმში—საუბრთიერო  
ნდობის საზოგადოებაში. 1852 1-1

## ტფ. მაზრის ეროვნული გაგებობა

ამით აცხადებს, რომ 18 ივლისის გამგეობის ბინაზე (რუსთაველის პრ. ს. № 6) დილის 10  
ს. შესდგება მე-7 ყრილობა ტფილისის ეროვნული ხმასანთა საბჭოსი, რომელიც განიხილავს  
1920-21 საანგარიშო წლის ხარჯთ-ალრიცხვს და სხვა მიმდინარე საკითხებს.

1841 1-1 გამგეობა

## საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრ-თელობის დეპარტამენტი

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 18 ამა ივლისიდან უქმდება არსებული და ძალაში შე-  
დის მთავრობის მიერ დამტკიცებული ახალი სააფთიაქო ნიხრი. 1855 3-1

ოფიციალური განყოფილება

## შესანი და ხარჯთ-ალრიცხვა

დამატება № 3.

ფოთის ქალაქის მილიციისა.

№ რიცხვი.	თანამდებობათა და გასაწვევი ხარჯის სახელწოდება.	თანამდ. პირ. რიცხვი.	თვიური ჯამაგირი.		ყველას 1920წ. იანვრის 1-დან ივნის. 1-დე.
			თვითუფლს.	ყველას.	
			მან.	კ.	
1	მილიციის უფროსი	1	3500	3500	17500
2	მილიციის თანამდებ.	1	3000	3000	15000
3	მდივანი	1	1995	1995	9975
4	საქმის მწარმოებელი	1	1890	1890	9450
5	ბუხალტერი	1	1890	1890	9450
6	რეგისტრატორი	1	1500	1500	7500
7	გადამწერი	2	1300	2600	13000
8	უბნის მილიციის უფროსი	2	2100	4200	21000
9	თანამდებ. თანამდებ.	3	1890	5670	28350
10	უბნის სამმართველოს საქმის მწარმოებელი	2	1848	3696	18480
11	გადამწერი	1	1300	1300	6500
12	უფროსი მილიციელი	5	1600	8000	40000
13	უმცროსი მილიციელი	65	1500	97500	487500
<b>ხარჯთ-ალრიცხვი მილიცია.</b>					
14	უბნის მილიც. უფრ. თანამდებ.	2	1890	3780	18900
15	უფროსი მილიციელი	3	1600	3200	16000
16	უმცროსი მილიციელი	3	1500	4500	22500
17	საკანც. და სამეურ. ხარჯები და გათ- მობა-განათება	—	—	4500	22500
18	უბნის სამმართ. სავ. და სამ. ხარჯ.	—	—	2000	10000
19	ბინის ქირა მილ. უფ. და სამმართ.	—	—	1500	7500
20	ბინის ქირა უბნების სამმართ.	—	—	1166.66	5833.30
21	მიმოსვლის ხარჯი	—	—	1000	5000
22	საიდუმლო აგენტურა	—	—	1500	7500
23	ეტლის შენახვა	—	—	12500	62500
	სულ	94	—	172387.66	861938.30

1920 წ. ივლისის 6-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთაიძე.  
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ურდანი.

## შრიქანება

ტფილისის კომუნდანტისა.

15 ივლისი, 1920 წ. № 10.

1. ჩემს მიერ მიტყუულია ყურადღება, ხში-  
რად რესტორანებში, ბაღებში და სხვა ამ  
ნაირ დროს გასატარებელ ალაგებში ბედა-  
ვენ ეროვნულ ჰიმნის შესრულებას. ამიტომ,  
რადგანაც ასეთის შესრულებას აქვს განსა-  
კუთრებული მნიშვნელობა, აგრეთვე ალაგი  
და დრო, ვბრძანებ დასახლებული ჰიმნის შეს-  
რულება მსგავს ალაგებზედ არავითარი შემთ-  
ხვევაში არ იქნას და შევბული; წინააღმდეგ  
შემთხვევაში ამ მოთხოვნის დამრღვევ  
პირთა წინააღმდეგ მიღებულ იქნება უკიდლე-  
რესად გადაწყვეტი ზომები, გასართობ ალა-  
გების შემნახველნი-კი იქნებიან მიცემულნი  
უსასტიკეს პასუხის ვებაში.

2. მე-5 ე სანაპირო რაზმის ლეიტენანტი  
კოლუაშვილი შეპყრობილია და გადაეცა  
აღნიშნულ რაზმს კვლევა-ძიების მოსახდე-  
ნათ და პასუხის ვებაში მისაცემათ, სიმთ-  
ვრალის დროს საზოგადო წესრიგის დარღვე-  
ვისათვის ბალ „ეთერში“ ქსენივის ქუჩაზე;  
10 ამ ივლისს.

გენერალი მიქაშავიძე.

## განმარტულებანი.

იუსტიციის მინისტრისა.

10 ივლისი, 1920 წ., № 263.

ჩაირიცხ ხ: იუსტიციის სამინისტროს უწყე-  
ბაში და წარიგზავნოს ქუთაისის ოლქის სა-  
სამართლოს განკარგულებაში იოსებ ლუკას ძე  
სულაქველიძე ამა წლის ივლისის 10-დან.

№ 264.

დათხეილია თანამდებობიდან და სრუ-  
ლიად სამსახურიდან თანამდებ თავისი თხოვ-  
ნისა ტფილისის № 1 საპყრობალებს უფროსი  
ლაგრენტი ბეჟანის ძე მახარაძე ამა წლის  
მაისის 10-დან.

№ 264.

დათხეილია თანამდებობიდან და სრუ-  
ლიად სამსახურიდან თანამდებ თავისი თხოვ-  
ნისა ტფილისის № 1 საპყრობალებს უფროსი  
ლაგრენტი ბეჟანის ძე მახარაძე ამა წლის  
მაისის 10-დან.

№ 265.

რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის ივნი-  
სის 29-ს დადგენილების ძალით განთავისუფ-  
ლებულია თანამდებობიდან ულიდეს საქ-  
მეთა გამომძიებელი მიხეილ თომას ძე ჯო-  
მარჯიძე მისი ტფილისის სასამართლო პა-  
ლატის წევრად დანიშვნის გამო ამა წლის  
ივლისის 1-დან.

№ 266.

რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის ივნი-  
სის 29-ს დადგენილების ძალით განთავისუფ-  
ლებულია თანამდებობიდან ქუთაისის ოლქის  
საგანგებო საქმეთა გამომძიებელი ბორის  
სპირიდონის ძე დევიძე და დანიშნულია ტფი-  
ლისის სასამართლო პალატის უდიდეს საქ-  
მეთა გამომძიებლად ამა წლის ივლისის  
1-დან.

იუსტიციის მინისტრი რ. არხნიძე.

იუსტიციის დეპარტამენტის დირექტო-  
რისა.

6 ივლისი, 1920 წ. № 259.

მოწვეულ იქმნას სამინისტროს კანცელა-  
რიაში ბიბლიოთეკის შესადგენად სამუშაოდ,  
როგორც კერძო გაქირავებული დღაური ქი-  
რით მომუშავე გიორგი მალაქიას ძე თურმა-  
ნიძე და მიეცეს მას გასამრჯელო საკანცელა-  
რიო თანხიდან კანცელარიის მოხელის ჯამაგ-  
ირის მიხედვით ამა წლის ივლისის 10-დან.

3 ივლისი, 1920 წ., № 258.

დაინიშნოს იუსტიციის სამინისტროს კან-  
ცელარიაში შტატ გარეშე მოწვეული კან-  
ცელარიის მოხელე მარიამ არსენიძის ასული  
ამავე კანცელარიის მოხელეთ ამა წლის ივლი-  
სის 10-დან.

დეპარტამენტის დირექტორი

გ. ურდანი.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის  
მინისტრისა.

10 ივლისი, 1920 წ., № 214.

ჩაირიცხულ იქმნას შტატში სახელმწიფო



რანტიითა შერეული კომისიის რწმუნებულ-ლები. საქართველოს დემოკრატიის მხრივ გა-გზავნილია პ. კოსტანაშვილი და რუსეთის დემოკრატიის მხრივ ზარინი. ისანი დათვა-ლიერებენ კონცენტრაციულ ბანაკს და გამო-არკვევენ, თუ რომელ დაკავებულს სურს საბ-ჭოთა რუსეთში წასვლა. ფოთში გამოირკვა, რომ დაახლოებით 500 დაკავებულთან მხოლოდ 20 კაცმა შეაგსო საანკეტო ფურ-ცელი. დანარჩენმა გაოსტყვეს არ სურვილი საბჭოთა რუსეთში წასვლისა.

**სამხედრო სამინისტროების განცხადება.** სამხედრო სამინისტრო ვთხოვს გამო-ვატყუდონ, რომ გამოკვეთებულ ბრძანების № 114 ბოლოში ბათუმის საქართველოსთან შეერთების შესახებ შეცდომა შეპარული. დაწერილი იყო „დაიბეჭდოს ყველა გაზეთ-ში“ უნდა იყოს—„წაკითხული იქნას ყველა ნაწილი“.

**ნავთობის ხომალტები.** გზათა დეპარტამენ-ტის დირექტორმა ნება დართო გადაეცეს სომხეთს თავის დროზე ს. სანანში დაკავ-ბული ასამდე ცისტერნა ნავთით.

**გერმანიის უნივერსიტეტებში ქართველ-ბტულენტების შესვლის პირობები.** ავტორი-ტეტულ წიგნიდან იუწყებიან, რომ გერმა-ნიის უნივერსიტეტებში უახლოეს სემესტრი-დან უცხოელ სტუდენტების მიღება დაიწყე-ბა. უნივერსიტეტში შესვლის პირობად უცხო-ელთათვის არის სწავლის ფულის გადახდა ოკროთი. გამონაკლის შეადგენს იმ ქვეყნის სტუდენტები, რომელთა ვალიუტა გერმანიის ვალიუტაზე დაბლა სდგას. ამ შემთხვევაში სწავლის ფული გერმანიის ვალიუტით უნდა შეიტანონ, მაგრამ ორჯელ მეტი, იმავე წრე-ებიდან გადმოვაცემენ, რომ გადადგმულია ნაბიჯები, რათა ქართველ სტუდენტებს გა-უადვილონ უნივერსიტეტებში შესვლა და სწავლის ფულის გადახდა.

**ბათუმის გზების ჩაბარება.** „გზატე-ცილების და წყლით სავალ გზების სამმარ-თველოს უფროსა, ინჟინერი კორინთელი გაემგზავრა ბათუმში გზების მისაღებად სამ-მართველოს გამგეობაში და ამ საქმის მოსა-წესრიგებლად.

**შავი ქვის გატანა.** თანახმად შავი ქვის მრეწველთა საექსპორტო საზოგადოების ცნო-ბისა, რესპუბლიკის ტერიტორიიდან 15 დე-კემბრიდან ივლისის შუა რიცხვებამდე სულ 70.000 ტონი ე. ი. 4.500.000 ფუთი შავი ქვა გაუტანათ. ამ ჟამად დაახლოებით 23 ათასი ტონი შავი ქვით იტვირთება ფოთში ინგლისის და იტალიის გემები, „ჩემო“. მი-აღებულ ცნობების თანახმად ფოთის ნავთსა-დგური იმდენად გაღრმავებულია, რომ იქ ოკეანის გემებსაც შეუძლია შესვლა.

**შავი ქვის ელვებთან.** ქალაქთა კავ-შირის ტენზიკურ განყოფილებიდან იუწყები-ან, რომ მომავალში შავი ქვის ელვებთან-ბის ექსპლუატაციის ფოთში თვით ქალაქის თვითმართველობა აწარმოებსო. ელვებთან-ბის შესაკეთებლად მთავრობისაგან გამო-თხოვილია თანხა, რომელიც შემდეგ დამფ-კრება უნდა დაამტკიცოს. მოელონ, რომ ქალაქის შემოსავალი ელვებთანბიდან 5 მილ. მან. მიაღწევს.

**ქართული სამუსიკო საზოგადოება.** ქართულ საზოგადოების მუსიკალურმა კო-ლეგიამ გამოიმუშავა მოხსენება სახელმწიფო თეატრში სამუსიკო საქმის რეორგანიზაციის შესახებ და ეს მოხსენება განათლების სამი-ნისტროს წარუდგინა. მოხსენებაში ნათქვა-მია, რომ სახელმწიფო თეატრთან არსებულ კომიტეტს უნდა მიემართოს სპეციალისტები-საგან შემდგარი მხატვართა საბჭო.

**სავალდებულო დადგენილ-ბანი**

სავალდებულო დადგენილებანი სამშენებ-ლო ნაწილის შენობების გადაკეთებაზე, გაა-ბლებზე (რემონტი) ან ახლად აშენებანზე, როგორც მთავრობის, საზოგადო, აგრეთვე კერძო შენობებისათვის ქალაქ გორისათვის, რომელიც დაზარალდა მიწის ძვრისგან 20 თებერვალს 1920 წ.

1. აკრძალულია შენობების აგება ჭაობიან ან ნარიყ ნიადაგზე, იმ ადგილებზე, სადაც მე-წყურია მოსალოდნელი. ფერდობებზე უნდა გაკეთდეს ერთი ან რამდენიმე თარხული სა-ყრდნობი ერთობა (ტერასები).

შენიშვნა: § 1-ის, ნაწილი 1 (ახალი შე-ნობები). შენობების დაუმგრობისთვის მიწის ძვრის დროს მეტად საშიშოა ფერდობები რომელნიც კლდოვან ქვადაგზე დაფარულია ფხვიანი შექმნებით გორის ციხის სამხრეთი ფერდობი. ამისთანა ადგილებს სრულიად

შენიშვნა უნდა სააღფიქრო გაკებრ და დაბ-ლობ ადგილებზე, სადაც ყამირ, წყლები დე-და მიწის ზედა პირიდან ახლოა ცრთი საყენის ნაკლებ ან ერთი საყენამდე) ეპოკენ-ტრალურ სარტულეში (ხონაში) შეიძლება დადგა მხოლოდ ხის სახლების ხის ხიმინჯის საძირკველზე, სადაც ყამირის წყლები უფრ-ღრმად არის ჩაწოლილი და ეპოკენტრალურ ზონიდან მოშორებითაც (მ ბალის იზოსისის ტის ფარგლების გარეთ) ავტორის შენობების დამადგმელად უნდა მიქცეს განსაკუთრებულ-ლი ყურადღება საძირკვლებსა და საფუძვლის გამაგრებას.

საუკეთესო პირობები შენობებისთვის კლდო-ვანი ყამირი ადგილებია, რომელიც შემდგა-რია მსხვილ შრეოვან ნალექი ნიადაგიდან ან დამწრული წვირთ ნაპარლებით არ არის და-ზიანებული.

2. ახალ შენობების სიმაღლე არ უნდა აღემა-ტებოდეს 5,000, რომელიც გამოანგარიშებუ-ლი უნდა იქნეს ზემო სართულის ქვირდინ თვითა შენობის გარეშე მდებარე მიწის დო-ნემდის.

ახალ შენობებს, სართლის დამოუკიდებ-ლად, არ უნდა ჰქონდეს ორ სართულზე მე-ტი ასეთი სახლის ქვეითა სართულს იატაკი უნდა ჰქონდეს მიწის დონეზე ან უნდა იყოს მიწაზე ამაღლებული არა უმეტეს 0,33 მეტრ.

**შენიშვნა:** იშვიათ შემთხვევებში, ქალაქის გამგეობის ნებადართვით, შეიძლება დადგმა და გაკეთება უფრო მეტი სართულებისაც, აგრეთვე შეიძლება მოიმართოს, როგორც სახლს, აგრეთვე სართულების სიმაღლესაც, მხოლოდ უნდა იყოს დაცული ტენიკური პირობები, განგებ ამ შემთხვევისთვის ქალა-ქის გამგეობისგან შედგნეილი.

3. საძირკვლები თუ შესაძლებელია, უნდა და-ეწყოს მაგარ კლდეზე ან სრულიად მაგარ ზედაგზე (ყამირზე). წინააღმდეგ შემთხვევა-ში უნდა გაკეთდეს კარგი საფუძველი, თანა-ხმად სააღმშენებლო ხელოვნების წესრიგები-სა. თუ რომ შენობა გაკეთდება ჩონჩხით, ფიკრული სახლის მსგავსად ან რკინა ბეტონ-ის, ქალები ან შესავალი ნაწილები რკინა ბეტონის ნაშენებში უნდა მტკიცედ იყოს შეკავშირებული საფუძველთან, ან რკინა ბე-ტონის საძირკველთან ჩვეულებრივი ქვის კე-დლებიანი შენობებისათვის საძირკველი უნდა გაკეთდეს, როგორც განუწყვეტლივად გადა-ბმული კედლები.

ყოველ შემთხვევაში, ფართოს ერთეულზე ნაანგარიშევი დაგარბალები (სტატიკური) წნე-ვა არა კლდოვან ზედაგზე არ უნდა აღემა-ტებოდეს 2 კილოგრამს თითო წესფართო (კვა-დრატული) სანტიმეტრზე = 0,788 ფუთი ერთ წეს-ფართოთა დიუმზე ან 5560 ფუთს ერთ წეს-ფართო საყენზე.

4. შენობების გასაკეთებლად მუშაობა უნდა წარმოებდეს თანახმად სააღმშენებლო ხელო-ვნების წესებისა, კარგი მასალებისა და გა-ცდილ მუშების შემყობით.

აკრძალულია შენობების გაკეთება წვირთ ქვისა და რიყის ქვისაგან, გარდა იმ შემთხვე-ბისა, როდესაც რიყის ქვა იქნება სწორედ გათლილი და ნახშირი იქნება, როგორც პრეტყლი ფილა.

აკრძალულია აგრეთვე ხმარება თუჯის ან სხვა რამ ყოველი ფიცი მასალის კოჭებისა, სვეტებისა და საზოგადოდ შენობის მთავარ ნაწილებისათვის.

5. ზემო სართულის ქვირის ზევით არ შეიძ-ლებს აშენდეს რამე ქვის ნაწილები თუ გინდ საკვამურების ნებადართულია მხო-ლოდ მსუბუქი ანაგები შებლანებისა ფრონ-ტონების წამყობების (ფერგის) სახით ან ფი-კრული ტიპის მეტად მსუბუქად გაკეთებულ იმასთანავე ისინი არ უნდა იყოს მოწყო-ბილი საცხოვრებლად ამ საწყობებისათვის.

ბანების (ტერასების) მოაჯირები ზემო სა-რთულის ქვირის ზევით მოწყობილი უნდა იყ-ვეს გაკეთებული ხისა, რკინისა ან რკინა-ბეტონისაგან.

ერთ სართულიან სახლებში, რომლებიც აშენებულა თანახმად შემდეგი ხანის ჩვენე-ბისა სხვენი, როგორც გამოანგლისი შეიძლე-ბა იქნეს გამოყენებული საწყობისათვის ან ბე-ლისათვის.

6. შენობის ანაგებში უნდა იყოს გატარებუ-ლი ერთგვარობა: ე. ი. უნდა გაკეთდეს ჩონ-ჩხი ან ხისგან. ან რკინისაგან, ან რკინა-ბე-ტონისაგან, ან არა და რკინით გამაგრებულ-ლი ქვის წყობისაგან: ჩონჩხმა ერთ და იმავე დროს უნდა გაუძლოს კუმშვას, გაჭიმვას ან

გადაჭრას და უნდა წარმოადგინოს მთელი საქურველი (არმატურა), მდგომრი საძირკვე-ლიდან სახურავამდე, მტკიცედ შეერთებული გადასახურავ ნაწილებთან (ქვირები, ბანგები და სახურავები); ჩონჩხ შუა ადგილები უნდა იყოს გაგებული ან უკანასკნელი უნდა იყოს შეყვანილი კედლების მასალებში.

7. შენობების სიმაღლის ციტიება უნდა იყოს, რაც შეიძლება დაბლა მხოლოდ ერთ სართუ-ლიან შენობებში ნებადართულია გაკეთდეს ჩვეულებრივი ტიპის კედლები, მხოლოდ იმ პირობით, რომ:

ა) შენობა გაკეთდეს კარგ დულაბზე, ბ) კედლების ნაწილები, რომელთაც აქვთ სტატისტიკური ფუნქცია, უნდა გაკეთდეს ავტორისაგან ან ბუნებრივი, ან ხელოვნური ქვისაგან ფაღის სახით ან ქვისაგან სწვრივი ან არალეული საბრტყეებით, რომ გვერდებზე ამოშენებული იყოს ავტორის კედელი სიმაგ-რისათვის, ან არა და უწყვეტი შუფენით რკინა ბეტონისაგან ისე, რომ წვერების შუა მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 60 ს. მ. უღრის 0281 საყენს.

გ) ვარე კედლების ძირში უნდა ჰქონდეს სისტემა არა ნაკლებ 1/6 სიმაღლისა; ეს კედ-ლები უნდა იყოს შეერთებული ერთმანეთ-თან განივი კედლებით არა უშორეს 2,60 ს., დიდი შუაბოჯების (მალეების) შემთხვევაში ამისთანა კედლებს და საერთოდ მთავარ კე-დლებს უნდა ჰქონდეს შესქელებული ადგი-ლები (კონტრაფორსები — გვერდობაგებები), რომლებიც უნდა იყოს განაწილებულ მანძი-ლებზე არა უმეტეს 2,50 მეტრ. და უნდა იყოს გამოშვრილი კედლის ნახევარი სისქისა.

დ) კონსტრუქცია უნდა იყოს გამაგრებულ-ლი მთავარ კედლების ზევით, როგორც ვარე, აგრეთვე განივიების რკინის ხლართე-ბით შეკავშირებული, აგრეთვე ხის ან რკინა-ბეტონის სარტყლებით და გამაგრებულ კუთ-ხებში განივით (наугольях).

(გაგრძელება იქნება).

**სასაქართველოში შალვა მალაქელიძისა და სხვების საქმე.**

(12 ივლისის სხდომა).

**მოწმე ბიკაჯვანი.** საგუბერნიო კომისარია-ტის მდივანი ვრცელად ასწერს მის სამსახურ-ში არსებულ წესებს და კერძოდ იმ 100.000 მანეთისაც ეხება, რომელიც მალაქელიძეს საგუბერნიო კომისარიად ყოფნის დროს საგუ-ბერნიო ბათალიონის კვარტირმისტრის ხომ-ტარისთვის გადაუცია. მოწმეს ახსოვს, რომ ეს ფული ხომტარისა არც დაუბრუნებია და არც სანოვანე შეუძენია საგუბერნიო ბათა-ლიონისათვის, როგორც ეს მას დაეაღმებელი ჰქონდა. მალაქელიძე ჩივდა, არ ვიცი, რო-გორ დაუბრუნებია ფული ხომტარისათვის. მა-ხსოვს ისეთი შემთხვევა, როცა აღდგებულ-ლი მალაქელიძე კადევ იმ ფულზე ლაპარა-კობდა, ჩაჩიბიამ განაცხადა, კვარტირმის-ტრის ხომტარის მიერ წაღებულ ფულს მე გაგინდებო, მხოლოდ მისი ხელწერილები გამოიმუშავებო. ფულის დაბრუნებას არა ეშ-ველა რა ხომტარია არა სჩანდა. ჩაჩიბია არას იძლეოდა და ბოლოს კალანდარაშვილ-მა ბრძანება გასცა, რათა განსაკუთრებულ რაზმს მოეძებნა ხომტარია და დაეპატიმრე-ბინა.

**ბრალდებული ხომტარია.** იმ დროს, რო-დესაც მე ვითომდა მეძებდენ, ყოველდღე ვხვდებოდი მალაქელიძე და ერთად ვმჯელო-ბდით, თუ როგორ მოგვეცილებოდა. რომ გვხვდებოდით, ეს კალანდარაშვილმა იცო-და. ამ დროს მომცა სწორედ მალაქელიძემ მისთვის სახლის ყიდვის რწმუნება.

**ბრალდებული მალაქელიძე.** პირველად ხომტარისა, როგორც ბათალიონის კვარტირ-მისტრის 50.000 მან. მივეცი ბათალიონისა-თვის, სანოვანის საყიდლად და ხელწერილიც ჩამოვართვი ფულის მიღებაში. მან სანოვანე არ იყიდა. არც ფული დააბრუნა. რამდენ-ჯერმე წინადადება მივეცი, ფული დაებრუ-ნებინა, მაგრამ დღეს-ხვალობით სახმეს აქი-ანურებდა. ამ დრომ ქალაქიდან კარგა ხნით წასვლა მომიხდა თელავში და როცა დაე-ბრუნდი ვივეცი, რომ ფული კადევ არ დაე-ბრუნებინა. ჩაჩიბიამ პირობა მოგვცა, ფულს ბათალიონი გადაიხდისო, მაგრამ ფული არ სჩანდა. ეს ის დრო იყო, როდესაც საგუბერ-ნიო კომისარიად მე დანიშნული ვიყავი ტფილი-სის, თელავის და გორის მაზრის გენერალ-გუბერნატორად. ერთ საღამოს შემოვიდა ჩე-მთან ჩაჩიბია და მითხრა: სადგურზე ბათა-ლიონს ერთი ვაგონი სურსათ-სანოვანე მოუ-

ვიდა, მაგრამ ხომტარისა არ აქვს ფული რომ გამოიხსნას. ახლა მას კადევ მიეცი 50.000 მან. და მთელს 100.000 მან. ხვალ წარმოადგენსო. მე უარზე დავდექი, მაგრამ ჩაჩიბიამ მითხრა, მე აქ არა ვარ, როგორ დაგლუპავ, ის თუ არ მოგცემს, მე მოგცემო, სხვა არა იყოს რა მამა მდიდარი მყავს, სახ-ლში აუარებელი ნივთები მაქვს და მე თვი-თონაც შემძლიან გადახდით. იძულებული ვავხდი, კადევ მიმეცა 50.000 მან. ხელწერი-ლით. მეორე დღეს ფული არ მომიტანეს. გადიოდა დღეები და ჩემი მფობარობა აუ-ტანელი ხდებოდა. ბოლოს ბრძანებაც ვავე-ცი ხომტარისა დაპატიმრების შესახებ. ხომ-ტარია მართლაც დააპატიმრა განსაკუთრე-ბულმა რაზმმა, მაგრამ ისევ ვაუშვა, რადგა-ნაც ხომტარია დაპირდა, ხვალ ზევ ფულს გადაიხდით. საერთოდ ხშირად ეჭვრდენ მას და ისევ უშვებდენ. მას ეხმარებოდა ცოლის ნათესავი განსაკუთრებულ რაზმის უფროსის მაშინდელი თანამემწე ფაჩულია, ეხმარებოდა კედლაც. ამავე დრო ხომტარია ხშირად მო-დიოდა ჩემთან და მევედრებოდა, ცოტა და-მეცდია მისათვის და არ დამეღწენა. მეც ვი-ცდიდი. ამავე ხანებში ჩამოვიდა მამაჩემიც და მას ხშირად ხვდებოდა ხომტარია. ჩემი ტრაველიც იმაშია. რომ ხომტარია შევიბ-რალე, დავიჯერე, რომ ან ის, ან ჩაჩიბია ფულს აუცილებლათ დააბრუნებდა და ამავე ხომტარის მივეცი რწმუნება, რამ ჩემთვის სახლი ყიდა. ფული ნაწილ-ნაწილად მი-ვეცი.

**ბრალდებული ხომტარია.** მალაქელიძემ 100,000 მან. სავაჭროდ მომცა. პირველად 50,000 მან. მომცა, მაგრამ როცა ამით არა გამოვიდა რა, კადევ 50,000 მან. მომცა და მითხრა, შენ ხშირად დადიხარ სავაჭროდ და ეს ფულიც ჩემთვის ატრიალო, თუ საქარო იქნება, 200 და 300 ათას მანესაც მოგცემო. მე ბაქოში წაველ და ნავთი ვიყიდე. ნავთი ტფილისში გვიან ჩამოვიდა, მანამდე ნავთის ფასი დაეცა ტფილისში და ის 100,000 მან. აქ წავავტე. ამის შემდეგ ცოტა დრო ვავიდა და იმ ფულში სახლი ვყუდიე, როცა მაგის მამა ჩამოვიდა, სახლი უკვე ნაყადი იყო.

მალაქელიძის დამცველთა შუამდგომლო-ბით კითხულობენ ხომტარისაგან მიცემულს ორს ხელწერილს, საიდანაც სჩანს, რომ კვარ-ტირმისტრის ხომტარისა ბათალიონის სა-ჭიროებისთვის საგუბერნიო კომისარის მალ-ლაქელიძისაგან მიუღია 100,000 მან. თითო მიღებაზე—50,000 მან. ერთს ხელწერილს ასეი 1918 წლის ნოემბრის 17-ის თარიღი, ხლო მეორეს ამავე წლის დეკემბრის 21-ისა.

**ბრალდ. ხომტარია** ამბობს, რომ არც პარ-ველად, არც მეორედ ფული ბათალიონის სა-ჭიროებისთვის არ მიმიღია, იგი მივიღე სავაჭროდა. ბოლოს მალაქელიძის დამც-ველის შეკითხვაზე უპასუხებს, გამოამიძებლის პარველ დაკითხვის დროს უთხარი, ფული ბათალიონისთვის მომცა და დამეხარჯა მე-თქი, მეორე დაკითხვის დროს კი ვაჩვენე, სა-ვაჭროდ მომცა მეთქი.

მალაქელიძის დამცველთა შუამდგომლო-ბითვე კითხულობენ ხომტარისაგან მალაქ-ელიძისთვის მიწერილ წერილს, რომელშიაც ლაპარაკია სახლის ყიდვაზე და იმ ფულზე, რომელიც ხომტარისა მალაქელიძისგან მიუ-ღია სახლის საყიდლად წერილს 1919 წლის მაისის 5-ს თარიღი აქვს.

ხომტარია სწერს მალაქელიძეს: თქვენგან მიღებული მაქვს სახლისთვის ჯერ 25,000 მან., მეორედ 6,000 მან. და მესამედ 44,000 მან., სულ 75,000 მან. ეს ფული საქმარისი არ აღმოჩნდა სახლისთვის და სახლი გადავუგო-რავე მუტაფივებს და მივიღე 45,000 მან., რომლითაც სახლის დანარჩენი ფასი გადა-ვიხადეო, ნატარიუსთან დოკუმენტებს მე მოვაწერე ხელი თქვენ მაგივრად, რადგანაც თქვენ ტფილისში არ იყავით და სახლაც და წინასწარ მიცემული ფული იკარგებოდა.

წერილის დასაწყისში ხომტარია მალ-ლაქელიძის წინ ბოდიშს იხდის, საქ-მის გამოსწორებას ჰპირდება და ამბობს: ვინც აპერაციისში ჩამოთრია, განზე გამიდავო. წერილის ბოლოს, როდესაც ხომტარია სახლის ანგარიშს ათავებს, კადევ სწერს ამის თაობაზე და ამბობს: რაც შეე-ხება მეორე საქმეს, ჩქარა გავსწორდებოთო. ცოდა იმას, ვინც მსხვერპალი გამხდა ამ საქმეში და ჩემი დედისა და ცოლშვილის და-მლუპველი ვახდით.

მხარების კითხვაზე, ვინ არის ის კაცი, რომელზედაც ლაპარაკია წერილში, მალაქ-ელიძე ამბობს, ჩაჩიბია არისო, ხოლო ხომ-ტარია ჯერ ამბობს, მალაქელიძეო და შემდეგ ხელმოწერედ კითხვის დროს სხვა პა-სუხს იძლევა, ეს საერთოდ არის ნათქვამი,

ავად ვიყავი მაშინ, სიცხე მქონდა და რა დაეწერე თვით არ ვიცი.

ბრალდებულის კითხვაზე, რა არის ამ წყრილში მართალი და რა არის ტყუილი, ხომ უტარია უპასუხებს, მანდ მართალი არის სახლის ყიდვისა და დაგირაგების ამბავი, აგრეთვე ის რომ დაგირაგების დროს მალლაკლიძის მაგივრად მოვაწერე ხელი. რაც შეეხება 25.000 მან., 6.000 მან., 44.000 მანეთს, ის მე არ მიმიღია, სახლი ვიყიდე იმ 100.000 მანეთით, რომელიც მალლაკლიძემ საგაყროდ მომცა. მალლაკლიძე ამბობს, რომ პირველი 25,000 მან. ხომ უტარია ჩემმა ცოლმა გადასცა, როცა ტფილისში არც კი ვიყავი და მას შედგე კიდევ მიიღო 6.000 მან. და 44.000 მანეთით. ჩაჩიბაია თავის მხრით დასძენს: 100.000 მანე. ვაფლანგვაში მონაწილეობა არ მიმიღია და აქ ტყუილად მდებს ბრალს მალლაკლიძე; წინადა, როდესაც ბოროტობა შედგება ვიდენდით, მალლაკლიძე მარწმუნებდა, ყველას მე ვავეცემ პასუხსა, და ახლა კი იმ ფულსაც მე მატარალებს, რომლის ვაფლანგვაშიც მონაწილეობა არა მაქვს.

ხომ უტარია დასჯილია შეამდგომლობით აქვეყნებენ კიდევ ერთს დოკუმენტს. აქედან სჩანს, რომ კვარტირების ბოშტარია შეშა უყენდია ბათალიონისათვის და ანგარიში წარუდგენია, მაგრამ ბათალიონის უფროსს კაპიტანს ანგარიში სწორედ არ მიუწინვია და არც დაუმტკიცებია. ამის შემდეგ მალლაკლიძეს, როგორც კომისარს ანგარიშზე წააწერია: ანგარიში განვიხილე და სწორედ ვიციანო.

ბრალდებული მალლაკლიძე ანგარიშის სადაო ნაწილი დღეის შეეხებოდა, იგი კანონიერად ვსცანი და რეზოლუციაც შედეგ წავეწერე.

ბრალდ. ჩაჩიბაია. კაპიტანმა არც ამის შემდეგ დაამტკიცა ეს ანგარიში. არ დავამტკიცე აგრეთვე მე, როდესაც ბათალიონის უფროსი ვაგზდი.

დამცველი შალვა მესხიშვილი. თქვენ და მალლაკლიძე ხომ თქვენის სიტყვით წინასწარ ერთმანეთთან შეთანხმებით ჩადიდით ნიკაბდეს. ამ შემთხვევაში ეს დოკუმენტი რად დაიწერა?

ბრალდ. ჩაჩიბაია. ჩვენი ბოროტობა მართა ჩვენ ვიცოდით, ეს დოკუმენტი კი უნდა სკოდიდა მთელს ბათალიონს.

ბრალდ. შენგელია. მხარეების კითხვაზე უპასუხებს: არც პირველ და არც მეორე დაკითხვის დროს მალლაკლიძისთვის ხელი არ დამიდვია, მეგონა მიშველის მეთქი. ბოლოს ციხეში დავსწერე ქალაქი და პროკურორს გაუგზავნე. დავსწერე პირადად შე. არავის შეუსწორებია.

მაშვე პოლკ. შამშურანი კვარტირების ბოშტარიას ახასიათებს როგორც საქმის ცუდს ამსრულებელს, რომელიც გარეშე საქმეებს ბევრს დროს ანდობდა. ჩაჩიბაია ამბობს: ქუთაისიდან ტფ. ბათალიონში ახალი გადმოყვანილი ვიყავი. პირველ თვეს ბათალიონში 90,000 მან. ეკონომია ვაგაკეთე და თვის ბოლოს მოვახსენე კიდევ საგუბერნიო კომისარს მალლაკლიძეს, რომელმაც მითხრა შეიტანეთ ეს შემოსავალი წიგნებში. ცოტა ხნის შემდეგ კორიდორში დამხვდა ჩაჩიბაია, კომისარის აღმსარები დამითხრა: ეგ ფული არ წარმოადგინო, რა საქირაა, მანდენან შენც გერგება 5,000 მანეთი. ასეთი წინადადება მაშინ მე ხუმრობდა მივიჩინე. მხარეების კითხვაზე მოწმე შამშურანი ამბობს: 1) საგუბერნიო კომისარს ნება ჰქონდა მაშინ, რომ საგუბერნიო ბათალიონის კვარტირებისთვის ფული მიეცა ბათალიონის საქირაებისთვის და არც იყო მოვალე ბათალიონის უფროსისთვის შეტყობინებინა, მაშ შეეძლო ეგ ფული ხსნა, რომ კვარტირებისთვის თავის უფროსს აცნობებდა ამის უფროსი კი შემდეგ კომისარს წარმოუდგენდა დახარჯულ ფულის ვასამართლებელ საბუთებს, ქუთაისშიც ჩემის სამსახურის დროს ბათალიონის კვარტირებისთვის ყანჩაველი ბათალიონის საქირაებისთვის ხშირად პირადად იღებდა ფულს ქუთაისის საგუბერნიო კომისარისაგან, ხშირი და საერთოდ მიღებულად იყო ისიც, რომ ერთის მიზნისთვის გადადებული ფული მეორე უფროსს სავსრს საქმეს მოხმარებოდა, ამიტომ საგუბერნიო კომისარსაც ჰქონდა ნება განსახლებულის მიზნისთვის მიღებული ფული და ეხარჯა საგუბერნიო ბათალიონზე, რომელიც მას ექვემდებარებოდა.

დასასრულ ბრალდ. ჩაჩიბაიას კითხვაზე მოწმე ამბობს, რომ იგი, შამშურანი, იძულებული იყო ბათალიონისათვის თავი დაენე-

ბინა ჩაჩიბაიას ინტრიგების წყალობით, რომელმაც ბათალიონის უფროსობა თვით მონდობა, როდესაც ნახა, რომ ბათალიონში თებში 90 და 100 ათასი მანეთი ეკონომია მრჩებოდა.

პროკინცია

სოხუმი. სოხუმის ქალაქის საბჭომ, არაჩვეულებრივ სხდომაზე ერთხმად დაადგინა: ქალაქის მცხოვრებთა სახელით მიულოცოს მთავრობას, ჯარს და გვარდიას, რომლებმაც თავისი ბრძნული პოლიტიკით შესძლეს საქართველოს გაერთიანება მის მცხოვრებთა საკეთილდღეოდ.

ქიათურა. შავი ქვის მრეწველთა ყრილობამ დაადგინა მიესალმოს მთავრობას და მთელ საქართველოს ხალხს ბათონისა და მისი ოლქის დაბრუნების გამო.

ონი. ახლო მდებარე სოფლების მცხოვრებთა და სახალხო გვარდიელთა მრავალ რიცხვანაში მიტინგმა დაადგინა მიესალმოს მთავრობას, ქართველ დემოკრატიის წინამძღოლ ქართველ ხალხის ახალი გამარჯვების გამო.

თელავი. თელავის სამაზრო ერობის ხმონების მორიგი სხდომები დასრულდა. ერობის ძველ გამგებებს ნდობა გამოუცხადეს.

პურის მოსავლა მაზრაში ძლიერ კარგია. სეტყვით დაზარალებულ მიწებზე გლეხებმა სიმინდი დასთესეს. მოელიან საუცხოვო სიმინდის მოსავალს. პურის მკა უკვე დაიწყო ზოგიერთ ადგილებში.

სამაზრო აღმინსტრაციამ დადგინების დროს მოკლა ცნობილი ავახაი აჯანგილაშვილი.

საგარეჯო. 12 ივლისს იოსებ იმედაშვილმა მრავალ რიცხვან კრებას ვრცელი სიტყვით მოახსენა საქართველოს მდგომარეობა, ბათონის უსისხლო შემოერთება, მთავრობის გონიერი მოქმედება და ჩვენი დროშის აფრიალება რაც საზოგადოებამ უზომო აღფრთოვანებით მოისმინა. საგარეჯოს დამსწრე საზოგადოების ყრილობა სალამს უძღვნის ჩვენს სასახლო მთავრობას, ჯარს, გვარდიას. ამავობს თქვენით აღთქმას სდებს ყოველთვის თქვენთან იყოს ჩვენის სამშობლის აღორძინების საქმეში. საგარეჯოს დამატებული საზ. გამგებმა.

გუდაუთი. გუდაუთის ქალაქის თვითმართველობამ, სახალხო გვარდიის შტაბმა და სოც. დემ. პარტიის კომიტეტმა საერთო კრებაზე დაადგინეს მიულოცონ საქართველოს თავისუფალ ხალხს და მის მიწების შემკრებ ბელადს ნ. ჟორდანიას.

ანთხალ მებანი

შეცდომის განხორცება:

ვინაიდან № 153-ში ტფილისის პირველი კერძო ლომბარდის აქციების მეოთხე გამოცემის შესახებ დაბეჭდილ განცხადებაში შეცდომები შეიპარა, ამიტომ ვებეჭდათ ამ განცხადებას მე-4 მუხლს შესწორებით.

4 მთელი გამოცემის განაღდების შემდეგ მიღებული 4.700.000 მანეთი მიღის:

- 1) 4,000,000 მ- ძირითადი თანხათ მისი 5.000.000 მ. 2) აყვანი: 500,000 მან. სათადარიგო თანხად და 3) 200.000 მ. აქციების დასამზადებლად და მათი საღებრო გადასახადებზე გაწეულ ხარჯების დასაფარავად.

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში შემოიტანა ოლდა გიორგის ასულმა კლეშინსკიამ თხოვნა თავის ქმრის ვიკენტი კარლოს ძის კლეშინსკზედ, რომელზედაც დაიწერა ჯვარი 1908 წელსა და ითხოვს განქორწინებას ვიკენტი კარლოს ძის კლეშინსკისაგან მის უკვალოდ დაკარგვის გამო, რომელიც დაიწყო 1910 წელსა, ამიტომ საქართველოს რესპუბლიკის არსებულ კანონთა ძალით ყველა ვალდებულია აცნობოს სამიტროპოლიტო სასამართლოს მისი მისამართი თვის განმავლობაში, დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა. 1816 1-1

საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს 1920 წ. 28 ივნისის დადგენილების თანახმად 951 მუხ. სისხლის სამ. წესდება, უძღვება ქ. ხონის მცხოვრებელს მთე სიონის ძე ზახტაძეს რომელსაც ბრალი ედება მე 128 და 133 მუხ. XXII წ. ს. დ. კ. 1869 წ. ვამ. 4 ყველა ვინც იცის სად იმყოფება იგი ვალდებულია განუცხადოს საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლო რომელიც იმყოფება ქალ. ტფილისში. სასამართლოს ქუჩა № 32. 1813 3-1

დაიკარგა უვადო პასპორტი № 8306 გარეგნა მიხელის ძე კოჩარიანცის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიციისტრის სამმართველოდან 1908 წ. გაუქმებულია ჩაითვალოს. 1842 3-1

დაიკარგა პასპორტი ვალენტინ ფორფორეს ძე ბელაივსკის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიციისტრის სამმართველოდან. გაუქმებულია ჩაითვალოს. 1850 3-1

დაიკარგა იარაღის ტარების ნებართვა გიორგი მელაშვილის (ბერდანკის) და პატარა მიგრაიულის (ვანტოვკის) სახელზე, გაუქმებულია ჩაითვალოს. 1851 3-1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ეკატერინე სარქისის ასული შირმაზანოვის სახელზე, და მტკიცებელი ტფ. ოლქ. სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 1903 წ. ნაისის 13-ს რეესტრით № 1242. გაუქმებულია ჩაითვალოს. 1843 3-1

დაიკარგა უვადო პასპორტი № 130 სარქის იკამემის ძე ზაქარიანცის სახელზე, მიღებულია ახალციხის მაზრის უფროსის სამმართველოდან 1919 წ. და სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულია ჩაითვალოს. 1844 3-1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 155 გრიგოლ სვანიძის სახელზე, მიღებული სახელმწიფო კონტროლის რკ. ვზის სექციიდან. გაუქმებულია ჩაითვალოს. 1845 3-1

სომეხ-გრიგორიანთა სეპარტო კონსისტორია, თანახმად ეჩმიაძინის სომეხ-გრიგორიანულ სინოდის დავალებისა, აუქმებს ნოტარიულ მინდობილობა, მიცემული აღნიშნულ სინოდის მიერ, ეჩმიაძინის მონასტრის მამულის გამგებლობის შესახებ ლეგან ტერ-ავეტიკოვისადმი 1849 3-1

ქუთაისის სამაზრო უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს შემკვიდრებებს გარდაცვალებულის, მცხ. სოფელ წყალტუბოში, ქუთაისის მაზრა ნიკოლოზ ბიჭინის ძის (იგივე დიმიტრის ძის) იოსელიანისას, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება, ექვსი თვის განმავლობაში, ზემო მოხსენებული იოსელიანის დანაშთ ქონებაზედ, თანახმად 1241 მუს. მეათე ტომისა სამოქალაქო სამართ. წესდ. 053 1-1

ტფილისის მე 7 უბნის სასამართლოს პოქაული ლ. ს. სვიატოდუხოვი ამით აცხადებს, რომ ივლისის 30 ს. 1920 წელსა დილით ათ საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ვლადიმერ ცვეტის მოძრავი ქონებაზე, იოსებ ნოვინსკის ვალის დასაკმაყოფილებლად, რომელიც შესდგება: სარკის ტრიუბოსაგან მეხის ჩარჩოვში. და შეფასებულია 3750 მანეთად. საჯარო ვაჭრობა დანიშნულია მე 10 უბანში. კირკის ქუჩა № 12. 1848 1-1

ხონის სამომრიგებლო უბნის მომრიგებელი მოსამართლე ქუთაისის მაზრისა თანახმად 848 მუხ, სისხლ. სამართ. წარმ. წესდ. ეძებს მცხოვრებს სოფელ მთხოჯში ქუთაის მაზრისა ილარიონ სპირიდონის ძე ფირცხალავას. რომელსაც ებრალება ვასილ აბზინიძის და სხვების ნივთების მოპარვა ყველამ ვინც იცის მისი ბინადრობა ვალდებულია უჩვენოს სასამართლოს, სად იმყოფება. ადგილობრივი მართველობა კი ვალდებულია მისი მამული და ქონების დაუნიშნოს რპეკენი. 0590 1-1

დაიკარგა სტატისტიკოსობის მოწმობა № 453, მიღებული სასტატისტიკო კომიტეტიდან 1920 წ. და მატრიკული № 485, მიღებული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და სამხედრო ბეგარიდან თავისუფლების მოწმობა № 2337, მიღებული ქუთაისის სამაზრო სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან 1919 წ. ნიკოლოზ ბესარიონის ძე ნუტუბიძის სახელზე. გაუქმებულია ჩაითვალოს. 1806 3-3

ქუთაისის სახედრო ბინათა დისტანცია

ამით აცხადებს რომ მიმდინარე წლის 24 ივლისს დანიშნულია შეჯიბრება ფოთის გარნიზონისთვის 400 საყენი სამღერაიანი ზომის შეშის დადგმის შესახებ. მსურველებმა უნდა წარმოადგინონ პირადობის მოწმობასთან ერთად 10 პროცენტი განცხადებულ ფასისა. შეჯიბრება მოხდება ქუთაისის სამხედრო ბინათა დისტანციის კანცელარიაში და ფოთის გარნიზონის უფროსთან დილის 12 საათზე. პირობების ვაგება შეიძლება ყოველ დღე. გარდა უქმისა დისტანციის კანცელარიაში. 1837 3-1

ქ. ტფილისის მე-6 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ 20 თებერვლის 1911 წელსა. სოლომონ გულჩას ძე ანტონიანცის, იგივე ანტონოვის, შემკვიდრებებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ანტონიანცის ქონებაზედ სამ. კან. კრებ. X ტ. 1 ნ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1820 1-1

ქ. სოხუმის მომრიგებელი მოსამართლე, აცხადებს, რომ ვეჭილობა მიცემული მარიამ ალექსანდრეს ასულ ვეტცელის მიერ ჟან გენარის ძე მილერზე და შედგენილი სოხუმის ნოტარიუსის ზატეორნიცკისთან 1916 წ. აპრილის 19-ს, რეესტრი № 1130 გაუქმებულია. 751 1-1

დაიკარგა საბინაო დავთარი. აპოპრის ქუჩაზე № 8 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის პავლე პანკრატოვს. გაუქმებულია ჩაითვალოს. 1794 3-3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 208, მიღებული 1 კომერციულ სასწავლებლიდან სარევისტრაცია ბარათი, მიღებული მიღებული ტფ. ქალაქის აამგობიდან 1920 წ. და უვადო პასპორტი № 201 ს ასლი პავლე სიმონის ძე პანპალოვის სახელზე, გაუქმებულია ჩაითვალოს. 1832 3-2

დაიკარგა სიგელი დავით გიორგის ძე ჩხეიძის სახელზე, შესრულებული ქუთაისის ნოტარიუსი ანჯაფარისისგან 1917 წ. და ჩაწერილი აქტის წიგნში № 49. გაუქმებულია ჩაითვალოს. 1833 3-2

დაიკარგა სტუდენტობის მოწმობა, მიღებული ტფ. პოლიტექნიკუმიდან, გიორგის ჯვარის მიღების მოწმობა და პირადი დასტური ტფილისის სადარაჯო ათასეულის 4 გუნდის თამდეგის დავით კაპანაძის სახელზე. გაუქმებულია ჩაითვალოს. 1825 3-2

დაიკარგა სამხედრო ბეგარიდან განთავისუფლების ნუსხა № 58 იაკინთე დიმიტრის ძე ჩაველიშვილის სახელზე, მიღებული ოზურგეთის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულია ჩაითვალოს. 1835 3-2

თანახმად ხელშეკრულებისა ყოფილი ამბანაგობა ალფა» გადავიდა პატრონის ხელში (გ. ს. ნაზარიანისა), ტენო ქიმიური ლაბორატორიის ალფას სახელწოდებით. 1831 3-2

დაიკარგა სამხედრო მიწერილობის მოწმობა № 3325 ნიკოლოზ სანდროს ძე ბერუაშვილის სახელზე მიღებული ტფ. ქალაქის გამგობიდან 1920 წ. გაუქმებულია ჩაითვალოს. 1799 3-3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისგან და სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების მოწმობა, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. 1920 წ. მიხელ მაქსიმეს ძე სირბილაძის სახელზე. გაუქმებულია ჩაითვალოს. 1798 3-3

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფილისის ოლქის სამართველოს უფროსი ნოტარიუსის მიერ 9 აპრილს 1904 წელს, რეესტრით № 832, ადელაიდა თევდორეს ასულის ზეიდლიცის სახელზე, გაუქმებულია ჩაითვალოს. 1803 3-3

დაიკარგა სახლგარ გარეთელი პასპორტისა აკ ფერაძის ძე დავგირელის სახელზე, მიღებული საქართველოს კონსულიდან ქ. ბათონში 1920 წ. 1810 3-3

ალექსანდრა ნიკოლოზის ასული ანდრონიკოვისა აუქმებს მინდობილობას, მიცემულს მის მიერ ირაკლი იოსების ძე კაპანაძისადმი და დამტკიცებული ტფ. ნოტარიუს წინამძღვარიშვილის მიერ 1919 წ. რეესტრით № 2568 1793 3-2